ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 10950/01
07/11/2019

10950-01-2-201911070923

შპს „თენგო 2000“-ის დირექტორს
ბატონ **თენგიზ ხითარიშვილს**

მის : ახალციხის რაიონი, ქალაქი ვალე, II შახტა

ბატონო თენგიზ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 23 ივლისის №10662 განცხადება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რომელიც ეხება ახალციხის რაიონში, სოფ. ვალეს II შახტის ტერიტორიაზე ცემენტის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი შეიცავს უზუსტობებს, კერძოდ:

- თავი 4.1.2 – „წყლის გამოყენება ტექნოლოგიურ ციკლში” - აღნიშნულია, რომ შპს „თენგო 2000“-ს სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს ტექნიკური რეგლამენტი ზედაპირული წყლის ობიექტიდან 49 000 $მ^3$/წელ წყლის ამოღებაზე, რაც არ შეესაბამება სამინისტროსთან შეთანხმებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ წყლის მოცულობას. ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს წყალაღების კოორდინატები, ვინაიდან იგი არ შეესაბამება დოკუმენტში მითითებულ ზედაპირული წყლის ობიექტს (მდ. ფოცხოვი);
- არ არის წარმოდგენილი გადასამუშავებელი ინერტული მასალის და წარმოებული ბეტონის რაოდენობრივი მონაცემები და ამასთან დასაზუსტებელია სალექარის გამწმენდის ეფექტურობა;

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი საჭიროებს ზემოაღნიშნული უზუსტობებისა და შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებას. შესაბამისი ინფორმაცია და განმარტებები ასევე ასახული უნდა იყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან მიმართებითაც.

ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დოკუმენტაციის წარმოდგენამდე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

პატივისცემით,

ხატია წილოსანი

მინისტრის მოადგილე